ბახვიჰესი

ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

#ერთადვაშენებთ

ბახვი ჰესი ასრულებს დანაპირებს

გასული თვის ნომერში გიყვებოდით შეთანხმების შესახებ, რომელიც დაიდო მთისპირის მოსახლეობას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და ბახვი ჰესს შორის.

მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება მთისპირის გზის დაგების სამუშაოების ჩატარებაზე მას შემდეგ, რაც ჰიდროელექტროსადგური ოფიციალურად შევა ექსპლუატაციაში. ბახვი ჰესის მენეჯმენტმა კი, პასუხისმგებლობა აიღო ჰესის მშენებლობის დასრულებამდე, განსაკუთრებით, ზაფხულის სეზონის პერიოდში, უფრო მკაცრად გააკონტროლოს სატვირთო მანქანების მოძრაობის წესები, ასევე, დამტვერიანების თავიდან აცილების მიზნით, განახორციელოს გზის მორწყვის სამუშაოები და რეაბილიტაცია გაუკეთოს ცენტრალურ გზაზე არსებულ იმ მონაკვეთებს, რომლებიც დაზიანებულია და ართულებს მიმოსვლას.

ცენტრალური გზის შეკეთება:

2025 წლის 23 ივნისს ბახვი ჰესის ინიციატივით დაიწყო მშვიდობაური - უკანავას ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. სამუშაოები ითვალისწინებს გზაზე არსებული დაზიანებების შეკეთებას, რაც ხელს შეუწყობს შეუფერხებელ და უსაფრთხო საავტომობილო მოძრაობას აღნიშნულ მონაკვეთზე. შეთანხმების ფარგლებში შეკეთების სამუშაოები ჯამში 6,7 კილომეტრიანი სიგრძის გზის მონაკვეთზე განხორციელდება. სამუშაოები 2025 წლის ივლისის დასაწყისში დასრულდება.

მშვიდობაური-უკანავას გზა

გზის მორწყვა მშრალ ამინდებში:

ისევე როგორც გასულ წელს, კომპანია 2025 წლის ზაფხულშიც, მშრალი ამინდების დროს ახორციელებს გზების დღეში ორჯერ მორწყვას, რათა, მძიმე ტექნიკის მოძრაობის შედეგად, არ მოხდეს გზებისა და ამ გზებზე არსებული კარ-მიდამოების დამტვერიანება.

მშვიდობაური-უკანავას გზის მორწყვა

#ერთადვაშენებთ

უსაფრთხოება - N1 პრიორიტეტი სამშენებლო მოედანზე და მის მიღმა

ინტერვიუ ბახვი ჰესის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ბატონ მიხეილ ნატროშვილთან

- ბატონო მიხეილ, ხშირად გვსმენია, რომ ბახვისწყლის ხეობა თავისი რელიეფით არაა მარტივი, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება მშენებლობას. როგორ უყურებთ ამ გამოწვევას კომპანიაში და თუ გაქვთ, განსაკუთრებული მიდგომა სამუშაოების კონტროლის კუთხით?

- დაგეთანხმებით, რომ მდინარე ბახვის წყლის ხეობა რთული რელიეფია. ბახვი ჰესის პროექტი, რომელიც სწორედ ხეობაში ხორციელდება თავისი ადგილმდებარეობიდან და საინჟინრო სტრუქტურიდან გამომდინარე არის საკმაოდ რთული და მასშტაბური. ცხადია, თავიდანვე ვიცოდით, რომ ეს მოცემულობა გვქონდა, თუმცა, ეს იყო არა დაბრკოლება ჩვენთვის, არამედ გამოწვევა. ასეთი ვითარების დროს ძალზედ მნიშვნელოვანია სწორი დაგეგმარება, მართვა და კონტროლი. მოგეხსენებათ, ჩვენი სამშენებლო პერიმეტრი რამდენიმე მონაკვეთზე არის განლაგებული, სამუშაო ადგილები ერთმანეთს დაშორებულია რამდენიმე კილომეტრით. სამუშაო პროცესის მიმდინარეობის უკეთ კონტროლის მიზნით შემუშავდა პროექტის შრომის უსაფრთხოების კონტროლის მართვის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პროექტის ტერიტორიის დაყოფას საკონტროლო ზონებად. მთლიანობაში პროექტი დაიყო 5 ზონად:

1. კემპი და მიმდებარე ტერიტორია;
2. ბახვი 2 ბ სადგური და მისი მილსადენის სექცია;
3. ბახვი 2 ა სადგური და მიმღები;
4. ბახვი2 ა მილსადენი;
5. ბახვი 1.

თითოეულ ზონას ჰყავს მიმაგრებული შრომის უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც აღნიშნულ არეალში აკონტროლებს სამუშაოებს.

- როგორია უსაფრთხოების ოფიცრის ერთი სამუშაო დღე?

- შრომის უსაფრთხოების ოფიცრები ყოველდღიურ რეჟიმში იმყოფებიან ტერიტორიაზე, თვალყურს ადევნებენ სამუშაო პროცესს, ატარებენ სავალდებულო ინსტრუქტაჟებს. უშუალოდ მუშა პერსონალს სამუშაოს დროს აძლევენ რეკომენდაციებს საქმის უსაფრთხოდ შესრულების მიზნით, აკონტროლებენ ანევით სამუშაოებს. პროექტის საიტმენეჯერებთან შეთანხმებით ცდილობენ სამუშაო პროცესი წარიმართოს მაქსიმალურად უსაფრთხოდ რაც არცთუ ისე ადვილი ამოცანაა სამუშაოების სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ.

ყველა დასაქმებული გადის სავალდებულო ტრენინგებსს შრომის უსაფრთხოებაში. ასევე, ხდება სპეციალური ტრენინგცენტრების მოწვევაც სპეციფიური ტრენინგების ჩასატარებლად.

ამ ეტაპზე ბახვი 2 პროექტს ჰყავს 1 უსაფრთხოების მენეჯერი, 4 უსაფრთხოების ოფიცერი და ერთი ექიმი. ბახვი 1-ის პროექტზე გვყავს ერთი მენეჯერი, ორი ოფიცერი და ერთი ექიმი. ბახვი 1-ის უსაფრთხოების გუნდი ასევე შემოდის ბახვი ჰესის შრომის უსაფრთხოების მენეჯერის დაქვემდებარებაში. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება მისი სამუშაო ტერიტორიის შემოვლა და კონტროლი.

- ბატონო მიხეილ, მისასალმებელია, რომ თქვენ აკონტროლებთ სამუშაოებს, მაგრამ თქვენ ვინ გაკონტროლებთ? თუ არის სახელმწიფოდან კონტროლი და მონიტორინგი?

- შრომის ინსპექცია გეგმიური შემოწმების ფარგლებში სისტემატურად მოდის პროექტზე. მიუხედავად იმისა რომ შემოწმება ხდება საკმაოდ მკაცრად პროექტის დაწყებიდან დღემდე სახელმწიფო შრომის ინსპექციის დეპარტამენტს ჯერ არ აღმოუჩენია რაიმე სახის კრიტიკული შეუსაბამობა და დარღვევა, რაც ძალიან გვახარებს და ჩვენს ერთ-ერთ მიღწევად მიგვაჩნია.

- ბატონო მიხეილ, როგორც ვიცი გამოწვევაა დიდი ტვირთების ტრანსპორტირებაც, რადგან გზა სადაც მაღალი გამავლობის მანქანები მოძრაობენ და დიდი ტვირთები გადმოაქვთ, სოფლის გზაა, მიმდებარედ არის საცხოვრებელი სახლები.

- როგორც ნებისმიერ პროექტს, ასევე ბახვი ჰესის პროექტსაც სჭირდება დიდი რაოდენობით სხვადასხვა ტვირთი, რომელთა ტრანსპორტირების ლოგისტიკა და სამუშაო ობიექტებამდე უსაფრთხოდ მიტანა პროექტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მოსული ტვირთები ჩერდება სოფელ ბახვში საიდანაც სპეციალურად შემუშავებული მარშრუტის გავლით მიდის სამშენებლო ობიექტამდე. სატვირთო მანქანებს აცილებენ უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლები, რათა არ მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობისთვის დისკომფორტის შექმნა, არ შეფერხდეს გადაზიდვა არ ჩაიკეტოს გზა, არ დაზიანდეს საგზაო ინფრასტრუქტურა. ასევე, მშრალ ამინდებში ვახორციელებთ გზების მორწყვით სამუშაოებს, რათა წარმოქმნილმა მტვერმა არ შეაწუხოს ადგილობრივი მოსახლეობა.

დასასრულისთვის კი ვიტყვი, რომ ბახვი ჰესის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის გუნდის მიზანია თითოეული დასაქმებულისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან არიდება.

მძიმე ტვირთის გადატანა

ბახვი ჰესის შესახებ

ბახვი ჰესი მართავს მდინარის მოდინებაზე მომუშავე მცირე და საშუალო ზომის ბახვი 1 და ბახვი 2 ჰიდროელექტროსადგურის პროექტებს, რომლებიც დაგეგმილია მდინარე ბახვისწყალზე.

განსახორციელებელი პროექტები მოქცეულია ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე. მათი ჯამური დადგმული სიმძლავრეა 43 მეგავატი, წლიური დაგეგმილი გამომუშავება კი, 180.5 მილიონ კილოვატსაათია.

ექსპერტის კომენტარი

ჰიდროელექტროსადგური, როგორც განახლებადი ენერგიის წყარო და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი

პიერ ბიდერმანი
გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების საერთაშორისო ექსპერტი

„განახლებადი ენერგიის წყაროები, როგორიცაა ჰიდროელექტროსადგურები, ასევე მზისა და ქარის სადგურები, კლიმატის ცვლილების ტემპისა და მასშტაბის შესაჩერებლად ნამდვილად კარგი ინსტრუმენტია.

მსოფლიოში ყველა სახის ენერგიის წარმოების განახლებადი ენერგიებით ჩანაცვლება რომ შეგვეძლოს, კლიმატის ცვლილებების პრობლემა მყისიერად მოგვარდებოდა.

ეს ფაქტია, რადგან განახლებადი ენერგიის სადგურები ძალიან დაბალი მოცულობის ნახშირბადს გამოყოფენ ელექტროენერგიის სხვა სახის წარმოებებთან შედარებით. მაგალითისთვის, განახლებადი ენერგიის სადგურების, როგორიცაა ჰიდროელექტროსადგურები, მზისა და ქარის სადგურები, მათი ოპერირების შედეგად გარემოში გამოყოფილი ემისიები, ანუ მავნე აირები მნიშვნელოვნად ნაკლებია ელექტროენერგიის წარმოების სხვა გამომუშავების ობიექტებთან შედარებით.

რაც შეეხება ინვესტორებს, რომელთაც სურთ განახლებად ენერგიებში ინვესტიციების განხორციელება, ამ შემთხვევაში თანამედროვე ინვესტორები შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ ენერგიის მიქსში ინვესტირებით, მაგალითად, ჰიდროს, ქარისა და მზის სადგურების კომბინაციით, თუკი, ქვეყნის გეოგრაფია იძლევა ამის საშუალებას. თუმცა, წამყვანი მაინც ჰიდრო სექტორი იქნება, რადგან ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია არის უწყვეტი და შესაბამისად მეტად სტაბილური, რაც სხვა ალტერნატივებთან შედარებით უპირატესობად მიიჩნევა“.

მცირე ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია მწვანე ენერგიის წყაროა, რადგან ის არ აფრქვევს საზიანო, ე.წ. სათბურ აირებს ატმოსფეროში, რაც თავისმხრივ კლიმატის ცვლილებაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს.

ჰესების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება არის სათბური აირების გამოყოფის შემცირების ერთ-ერთი გზა.

ფოტორეპორტაჟი

სამშენებლო პერიმეტრის სტუმრები ჩვენი თანამშრომლების ობიექტივში

შველი - (Capreolus capreolus). ეს სახეობა გავრცელებულია სუბ-ალპურ ზონაში და ტყით დაფარულ ტერიტორიებზე და არა ანთროპოგენული ზემოქმედების მქონე ჰაბიტატებში, მაგ. საძოვრები ან დაბურული ტყეები. ეს ფოტო ჩვენმა თანამშრომელმა გადაიღო სამშენებლო პერიმეტრში. ეს კი ნიშნავს, რომ მშენებლობის მიუხედავად, ცხოველები არ ტოვებენ ბახვისწყლის ხეობას.

რეპორტაჟი

სოფლის გზები და უსაფრთხოება

ბაჩო გოგელია,
შრომის უსაფრთხოების ოფიცერი

#ერთადვაშენებთ



„ჩვენ სატვირთო ავტომობილებს უწევთ სოფლის გზებზე მოძრაობა. ჩვენ წინასწარ შევისწავლეთ სოფლის გზა, გზაზე ავტომობილის მოძრაობით გამოწვეული შესაძლო პრობლემები - ვიბრაცია, ხმაური, მოძრაობის შეფერხება.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, წინასწარ სპეციალური გეგმა შევიმუშავეთ.

სოფლის დაზიანებულ გზებზე მოვასწორეთ ინერტული მასალა, მივეცით დახრილობა და დავტკეპნეთ.

დამტვერიანების თავიდან აცილების მიზნით, დღის განმავლობაში რამდენჯერმე ვასრულებთ გზის მორწყვით სამუშაოებს.

იმ შემთხვევაში თუ კომპანიის ეგიდით ხდება სამუშაოს წარმოება, გზაზე უსაფრთხო მოძრაობას არეგულირებენ მედროშეები, რომლებიც არიან კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის მიერ სპეციალურად დატრენინგებული ადგილობრივი მოსახლეობა“.

გარემოს დაცვა და მონიტორინგი

ბახვი ჰესის აქტიური სამშენებლო სამუშაოების პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობს გარემოსდაცვითი ღონისძიებებისა და მონიტორინგის პროცესები.

წინა გამოცემებში გიყვებოდით კვლევების შესახებ, რომლებიც კვარტალში ერთხელ ხორციელდება.

ბახვი ჰესის ვალდებულებების ნუსხაში, ამ კვლევების წარმოება ერთ-ერთი უმთავრესია.

აღნიშნულ კვლევებს მონიტორინგს უწევს ერთის მხრივ სახელმწიფო, მეორეს მხრივ კი, ის უცხოელი ექსპერტები, რომლებიც პროექტის საწყის ეტაპზე აწარმოებდნენ სამშენებლო პერიმეტრის კვლევას.

სწორედ დამოუკიდებელმა საერთაშორისო ექსპერტებმა შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, რომლის ზედმიწევნით განხორციელების შემთხვევაში, პროექტი გარემოზე მოსალოდნელ ზიანს ან სრულიად აირიდებს, ან კი მოხდება მისი მნიშვნელოვნად შერბილება.

კვლევებისა და მონიტორინგის ვალდებულება გაწერილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტში.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა შეთანხმებულია და დამტკიცებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. კვლევებსა და მონიტორინგს ახორციელებენ დამოუკიდებელი სპეციალისტები.

2024 წლის მეორე კვარტალში ჩატარებული კვლევები:

❖ ჰაერის ხარისხი (მტვერი და გამონაბოლქვი), ვიბრაცია - DG Consulting (23 ივნისი);
❖ ზედაპირული წყლების ხარისხი - DG Consulting (23 ივნისი);
❖ ფლორა და ფაუნა (ცხოველები, ფრინველები, ამფიბიები, რეპტილიები, მცენარეული საფარი) - ნიკო ქერდიყოშვილი, ეკოლოგიის მაგისტრი, თბილისის ზოოპარკის სამეცნიერო პროგრამების მმართველი (24-26 ივნისი);
❖ ხელფრთიანების და მათი ჰაბიტატების საექსპერტო კვლევა - გიორგი შეყლაშვილი;
❖ მდ. ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნება - გიორგი ზაალიშვილი, ბიოლოგიის მაგისტრი (სპეციალიზაცია: ჰიდრობიოლოგია-იქთიოლოგია) (30-31 მაისი);
❖ გეოლოგია - ლევან ქებულაძე შპს „გეოსტანდარტი“ (21 ივნისი).

აღნიშნული კვლევების შედეგებს შემდეგ გამოცემებში მოგაწვდით.

#ერთადვაშენებთმწვანეგარემოს